



საქართველოს
თანსაცმლისა და
მოდის
ასოციაცია



ხარისხისა და სტილის თანხვედრა

ეს ბროშურა შექმნილია ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ქართული ტანსაცმლისა და მოდის ასოციაცია და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს შეხედულებებს.



საჩინოსი და სტილის თანხვედრა

**GAFA - საქართველოს
თანსაზღვროსა და მომსახურების
ასოციაცია შპს-ის
პროექტის „კანონმდებლობის
განვითარებისთვის“
მხარდაჭერით, რომელიც
დაფინანსებულია
ევროკავშირისა და გერმანიის
მთავრობის მიერ და მას GIZ-ი
(გერმანიის საერთაშორისო
თანამშრომლობის
საზოგადოებრივი ასოციაციის).**

ასოციაციის **ხედვაა** ინოვაციური და სინერგიაზე დაფუძნებული სივრცის განვითარება, სადაც მოდა, ტექნოლოგია, მდგრადობა და ცოდნა ერთიანდება - სივრცე, სადაც სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები მხარს უჭერენ და თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რათა შექმნან მდგრადი, ეკოლოგიურად სუფთა და მაღალი ხარისხის ტანსაცმელი როგორც საქართველოს ისე საერთაშორისო დონეზე.

ქართული ტანსაცმლის მწარმოებლებისა და დიზაინერების ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე ცნობადობის გაზრდა ასოციაციის უმთავრეს **მისიას** წარმოადგენს. ამისათვის GAFA ეხმარება თავის წევრ კომპანიებს ცოდნის ამაღლებაში, საერთაშორისო მასშტაბით კონტაქტების დამყარებასა და თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაში. მდგრადი წარმოების, ხარისხის ამაღლებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად საქმიანობის წარმოების ხელშეწყობა მისიის რეალიზების გარანტია.

GAFA-ში გაერთიანებული არიან განსხვავებული სტრუქტურისა და პროდუქციის მწარმოებელი კომპანიები - დაწყებული ეკო ტექსტილით დამთავრებული ადაპტური ტანსაცმლით, უნიფორმებით, მაღალი მოდისა თუ ურბანული სტილის ქალის, მამაკაცისა და ბავშვის სამოსით, თუმცა მათ მთავარი მახასიათებელი - „წარმოებულია საქართველოში“ აერთიანებთ.

მდგრადობა GAFA-ს მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია. წევრი კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება, ნარჩენების გადამუშავება, თავიანთ ორგანიზაციებში მდგრადი პროცესების მართვის სისტემის დანერგვა და ზოგადად, ცნობიერების ამაღლება ეკოლოგიურად სუფთა მასალებისა და ქსოვილების გამოყენების შესახებ.

GAFA ორიენტირებულია ექსპორტზე და ეხმარება მის წევრებს მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო სავაჭრო შოუებსა და ექსპოზიციებში, ასევე ონლაინ ღონისძიებებში, რაც მათი ცნობადობის ამაღლებას შეუწყობს ხელს. ექსპორტის გაუმჯობესების მიზნით, GAFA პარტნიორებთან ერთად აქტიურად იმუშავებს საექსპორტო რეგულაციების გაუმჯობესებაზე და გააძლიერებს თანამშრომლობას ადგილობრივ და საერთაშორისო ლოგისტიკურ კომპანიებთან.

გაციფრულება GAFA-ს ერთ-ერთ მთავარი მიზანს წარმოადგენს. მისი წევრების მიერ ცოდნის ამაღლებისა და მათ ბიზნეს პროცესებში ციფრული ინსტრუმენტების დანერგვის გზით GAFA მიზნად ისახავს სექტორის ციფრული ტრანსფორმაციის ოპტიმიზაციას.


ბიზნეს პროცესის ოპტიმიზაცია და დასაქმებულთა პროფესიონალური ზრდის ხელშეწყობა თითოეული კომპანიის წარმატებული და მდგრადი განვითარების საფუძველია. ამიტომ, GAFA მხარს უჭერს წევრებს თანამედროვე BPO (ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაცია) ინსტრუმენტების დანერგვაში, აგრეთვე საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის გაღრმავებაში.

GAFA-ს უპირატესობები

- ერთობლივი მომსახურება: ბაზრის განვითარება, სავაჭრო შოუების ორგანიზება, ტექსტილის პროდუქტის დიზაინი და განვითარება, მოდის ტენდენციების ანალიზი და პროგნოზირება, ელექტრონული კომერციის პოპულარიზაცია, ტანსაცმლის ნიმუშების დიზაინი და დამზადება, ტანსაცმლის ნიმუშების დამზადების ტრენინგი, ბაზრის ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, და ა.შ.;
- ასოციაციისა და მისი წევრების ცნობადობის გაზრდა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე;
- მარკეტინგისა და ექსპორტის ერთობლივი სტრატეგია;
- საქართველოში ტექსტილისა და ტანსაცმლის წარმოების იმიჯის გაუმჯობესების ერთობლივი ადგილობრივი სტრატეგია;
- წევრთა პროდუქტიულობის გაზრდა (ცოდნის გაზიარება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობით, სინერგია);
- ინოვაცია და ახალი ბიზნესის ფორმირება (ბაზრის კვლევა, სიახლეების დანერგვა, ბაზრის ნიშების შევსება და საზღვრების გაფართოება).

GAFA-ში გაერთიანებულია როგორც ტანსაცმლისა და ტექსტილის ქართველი მწარმოებლები, მოდის დიზაინერები, ქარხნები და ატელიეები, ასევე პარტნიორ ორგანიზაციები (ანარმოვ საქართველოში, ექსპორტის განვითარების ასოციაცია, საქართველოს სატვირთო გადაზიდვების ასოციაცია, საქართველოს ელექტრონული კომერციის ასოციაცია).

კლასტერის სტრუქტურა



ასოციაციის დამფუძნებელი წევრი კომპანიები

Colors of Caucasus
Spilow
Starfish (Maroma
Collection)
Nina (KABA)

MPT Georgia
Elias (Elias Mosili)
Fashion House Materia
Dots
ISF Georgia

Elselema
Makratelli
Dalood
LIYA



ბ ე ჯ ნ ე ბ ი

- 5** | 0711
- 6** | Colors of Caucasus
- 7** | Comode
- 8** | Dalood
- 9** | Dots
- 10** | Elias Mosili
- 11** | Fashion House Materia
- 12** | Eshvi Kids
- 13** | Ingorokva
- 14** | Kaba
- 15** | ISF Georgia
- 16** | Liya

- 17** | Maroma Collection
- 18** | Flying Painter
- 19** | Makratelli
- 20** | MPT
- 21** | Rko
- 22** | Situationist
- 23** | Spilow
- 24** | Zoma
- 25** | Nikolli
- 26** | Boldi
- 27** | Elselema
- 28** | Anabechdi



0711

0711 ისტორია იწყება 2015 წლიდან და მას შემდეგ აგრძელებს პოზიციონირებას როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართული ბრენდი, ქალის აქსესუარების სეგმენტში, კონკრეტულად კი ხელნაკეთი ნაქსოვ ჩანთებსა და ქუდებში. „კოპაკაბანა“ - ეს არის პირველი ჩანთის მოდელი და დღეს ბრენდის სახე, რომელმაც განაპირობა პოპულარიზაცია მსოფლიო მოდის სფეროში და დაუმკვიდრა მას ადგილი ისეთი ცნობილი ბრენდების გვერდით როგორებიც არის: By Far, Wandler, Danse Lente, Trade-mark. 2018-ში სრულად ჩაეშვა ახალი ჩანთის მოდელები, კოსმეტიკური ჩანთები, საფულეები და სხვა. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროიდან იწყება ახალი ეპოქა 0711-ის ისტორიაში. ამავდროულად ბრენდით ინტერესდებიან მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყნის წამყვანი PR და მარკეტინგული სააგენტოები. დღესდღეისობით ვთანამშრომლობთ დიდ ბრიტანეთთან, აშშ-თან, ჩინეთთან, გაერთიანებულ არაბეთის ემირატებთან, რამაც გარკვეულწილად გაზარდა ბრენდის ცნობადობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. 2019 წელი გამორჩეული იყო იმიტაც, რომ 0711-ს ჩანთების გარდა დაემატა ტანსაცმლის წარმოება (ამ კუთხით ბრენდი გეგმავს განვითარებას). ჩვენი, როგორც ბრენდის მთავარი მიზანია მოვერგოთ ნებისმიერი გემოვნებისა თუ ასაკის ქალის მოთხოვნებსა და სურვილებს, რაც მთავარია ბრენდი არ ივიწყებს იმ ძირითად ფასეულობას, რომელიც ის დგას და რაზეც ზრუნავს თითოეული ჩვენგანი - ხარისხს.

დაფუძნების თარიღი: 2012


დასაქმებულთა რაოდენობა: 24

საერთაშორისო სერთიფიკატები: ISO 17025

საერთაშორისო პარტნიორები/წევრობა: საბითუმო ვაჭრობისა და მარკეტინგული პროფილის სააგენტოები დიდი ბრიტანეთიდან, ჩინეთიდან, დსთ-ს ქვეყნებიდან და შუა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონიდან

პროდუქციის აღწერა: ქალბატონების აქსესუარები

საკონტაქტო ინფორმაცია: www.0711tbilisi.com



დაფუძნების თარიღი: 2019

დასაქმებულთა რაოდენობა: 6

პროდუქციის აღწერა: „კავკასიის ფერები“ ღებავს ნატურალურ ქსოვილებს - აბრეშუმს, ბამბას, შალს ბუნებრივი საღებავებით. ჩვენ ვქმნით უნიკალურ ფერებს სამკურნალო მცენარეებით სხვადასხვა ბრენდებისთვის.

საკონტაქტო ინფორმაცია: www.colorsOfcaucasus.com




Colors of Caucasus

„კავკასიის ფერები“ არის ქართული სტარტაპი რომელიც ქმნის ბუნებრივად შეღებილ ტექსტილს მცენარეული და მინერალური ღებვის მეთოდებით.

მოდა არის ერთ-ერთი ინდუსტრიათაგანი, რომელსაც გარემოს დამაბინდურებელი შედეგები მოაქვს. ყოველწლიურად მილიონობით ტონა ქიმიკატები იღვრება მდინარეებში, ოკეანეებში და ზღვებში, რაც დამანგრეველია ჩვენი პლანეტისათვის.

„კავკასიის ფერებს“ გააჩნია ცოდნა და ტექნიკა ღებვის, რაც არ აბინძურებს გარემოს და არ არის მავნე ადამიანების ჯანმრთელობისათვის.






Comode

დაფუძნების თარიღი:	2015
დასაქმებულთა რაოდენობა:	15
საერთაშორისო სერთიფიკატები:	SPECIAL AMERICAN BUSINESS INTERNSHIP TRAINING PROGRAM (SABIT)
	Fashion Design and Ready Made Garments
საერთაშორისო პარტნიორები/წევრობა:	2019 წელს Comode გახლდათ აშშ-ში უმსხვილეს დამოუკიდებელი დიზაინერების პლატფორმის წევრი - Flying Solo
პროდუქციის აღწერა:	ქალის ტანსაცმელი, აქსესუარები, ფეხსაცმელები და ჩანთები
საკონტაქტო ინფორმაცია:	www.comode.ge

„ქო.მოუდი“ არის კონცეფციის მაღაზია და ონლაინ პლატფორმა, რომელიც აერთიანებს ათობით ქართველ დიზაინერს. Comode ასევე წარმოადგენს საკუთარ მოდის ხაზს, რომელიც აწარმოებს ტანსაცმელს და ფეხსაცმელს. ჩვენი პლატფორმის (www.comode.ge) დახმარებით პროდუქციის მიწოდება ხელმისაწვდომია მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ხოლო თბილისში დღესდღეობით გვაქვს ორი ადგილობრივი მაღაზიის ფილიალი.

„ქო.მოუდი“ მხარს უჭერს დიზაინერებს მთელ მსოფლიოში. COVID-19-მდე „ქო.მოუდი“ მონაწილეობდა სხვადასხვა ქვეყნის შოურუმებსა და ჩვენებებში. გვქონდა ჩვენება ალმათის და ბაქოს მოდის კვირეულებზე, ასევე 2019 წელს ჩავატარეთ ჩვენი კომპანიის პროდუქციის პრეზენტაცია/გაყიდვა ლონდონში. გარდა ამისა, „ქო.მოუდი“ იყო აშშ-ის უდიდესი დამოუკიდებელი დიზაინერის პლატფორმის - Flying Solo-ს წევრი, საიდანაც ჩვენი ჩვენებებით ოფიციალური ნიუ-იორკისა და პარიზის მოდის კვირეულის განრიგში მოვხვდით.


„ქო.მოუდი“- „შეაგროვე მეტი სურვილები“ - არის მიზანდასახული ქალი, რომელიც ყოველთვის ცდილობს თავისი სურვილების ასრულებას. ის რაც სურს, საკუთარი სტილითა და ესთეტიკის დახმარებით აუცილებლად გამოსდის. მისი ისტორია უპირობოდ მარადიულია, ერთი მიღწევის შემდეგ აუცილებლად ახლისკენ ისწრაფვის.



Dalood

მოდის სახლი „დალოოდი“ 2002 წელს დაარსდა. ბრენდის განახლება 2013 წელს, დამაარსებლის შვილმა, მაკა კვიციანმა განახორციელა, ხოლო 2015-ში ის ბრენდის კრეატიულ დირექტორად დაინიშნა. ამ წლების მაძილზე მომხმარებლისთვის „დალოოდი“ იქცა ხარისხიან და ესთეტიკაზე ორიენტირებულ ბრენდად, რომელის მისიაც ქალების გაძლიერება, მათთვის ყოველდღიურობის გახალისება და გაიოლებაა.

კომპანიის გამოცდილ და ერთგულ პროფესიონალ გუნდზე ორიენტირებულმა, პოზიტიურმა კორპორატიულმა კულტურამ, შემოქმედებითმა გამორჩეულობამ, პროდუქციის მრავალფეროვნებამ, ხელსაქმისა და მომსახურების უმაღლესმა ხარისხმა, ქართული ბრენდი ერთ-ერთ წარმატებულ და მოთხოვნად საერთაშორისო ბრენდად ჩამოაყალიბა.



დაფუძნების თარიღი: 2002

დასაქმებულთა რაოდენობა: 18

საერთაშორისო პარტნიორები/
წევრობა: Bureau Des Créateurs
Paper Mache Tiger
Alter Showroom

პროდუქციის აღწერა: ქალის ტანსაცმელი და
აქსესუარები

საკონტაქტო ინფორმაცია: www.dalood.com



დაფუძნების თარიღი: 2016

დასაქმებულთა რაოდენობა: 54

საერთაშორისო სერტიფიკატი: ISO 9001:2015

პროდუქციის აღწერა: „დოთსი“ მომხმარებელს სთავაზობს როგორც ქალის, ისე ბავშვის ხაზს. ბრენდი ცნობილია აქსესუარების, განსაკუთრებით კი ფეხსაცმელების საშითაც.

საკონტაქტო ინფორმაცია: www.dotstbilisi.com

Dots

„დოთსი“ ცნობილია თავისი თანამედროვე, დახვეწილი, ამავედროულად ფუნქციონალური სტილითა და ხელმისაწვდომი ფასებით. დოთსი მომხმარებელს სთავაზობს როგორც ქალის, ისე ბავშვის ხაზს. წარმოდგენილი ტანსაცმელი, ისევე როგორც აქსესუარები, შექმნილია ქართველი დიზაინერების მიერ. ბრენდის საქმიანობის თითოეულ ეტაპზე გარემოს დაცვა და მასზე ზრუნვა, მდგრადი განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობა ის მიმართულებებია, რომლებიც „დოთსის“ ძირეულ ასპექტს წარმოადგენენ. სწორედ ამიტომ წარმოებაში გამოყენებული ნედლეულის (ქსოვილი თუ ფურნიტურა) 75% არის ბიოდეგრადირებადი და არასაზიანო. სეზონური კოლექციების შექმნა-დათვალიერება შესაძლებელია „დოთსის“ კონცეპტუალურ მაღაზიაში თბილისის რამდენიმე ლოკაციაზე, ისევე როგორც ონლაინ პლატფორმაზე.





დაფუძნების თარიღი: 2019
 დასაქმებულითა რაოდენობა: 12
 პროდუქციის აღწერა: მამაკაცის სამოსი
 საკონტაქტო ინფორმაცია: Facebook:
 Elias Mosili • ელიას მოსილი

Elias Mosili

„ელიას მოსილის“ ისტორია დაიწყო, როდესაც გივი გიორგაძემ ვერაზე, სამოთახიან ბინაში მამაკაცებისათვის ატელიე გახსნა, სადაც BESPOKE & MADE TO MEASURE მიმართულებით დაიწყო მუშაობა, რაც ნიშნავს ინდივიდუალურად კერვას, რომელიც თავდაპირველად HANDMADE SAKARTVELO-ს სახელით ფუნქციონირებდა. კომპანიის დაარსებამდე მან დიდი დრო დახარჯა საჭირო ოსტატების და უნიკალური ქსოვილების მოძიებაში, რომელიც იტალიიდან ჩამოიტანა. მთავარი იდეა იყო მაღალი ხარისხის კლასიკური სტილის სამოსის შექმნა მამაკაცებისთვის და აღედგინა ინდივიდუალური კერვის კულტურა საქართველოში.

დღეს „ელიას მოსილი“ უმასპინძლებს თავის მომხმარებლებს უნიკალურ სივრცეში, რომელიც წარმოადგენს შოურუმსა და ატელიე-ლაბორატორიას, სადაც 12 კაციანი გუნდის გულმოდგინე შრომის შედეგად ქართული ბაზრისთვის უნიკალური პროდუქცია იქმნება.





დაფუძნების თარიღი: 2003

დასაქმებულთა რაოდენობა: 250

საერთაშორისო სერტიფიკატი: ISO 9001:2015

საერთაშორისო პარტნიორები/
წევრობა: ევროპის რეკონსტრუქციისა და
განვითარების ბანკი; პროფესიული
ტანსაცმლის/უნიფორმების ინდუსტრიის
საერთაშორისო ასოციაცია

პროდუქციის აღწერა: „მატერია“ აწარმოებს სპეც. ტიპის
ჩასაცმელსა და უნიფორმებს სხვადასხვა
სექტორებისათვის, მათ შორის:

- სამხედრო საველე და არასაველე
დანაშნულების უნიფორმებს
- პოლიციის უნიფორმებს,
- დაცვისა და საბაჟო სამსახურების
უნიფორმებს,
- სამედიცინო სექტორისათვის
განკუთვნილ სპეცტანსაცმელს,
- სპორტულ უნიფორმებს,
- საგანგებო სიტუაციების მართვის
სამსახურების უნიფორმებს, ნებისმიერი
სპეც. ტიპის ტანსაცმელსა და უნიფორმას

საკონტაქტო ინფორმაცია: www.materia.ge

Fashion House Materia

მოდის სახლი „მატერია“ საქართველოში ერთერთი წამ-
ყვანი მწარმოებელია, რომელიც უკვე 24 წელია წარ-
მატებით ოპერირებს ბაზარზე და უნიფორმებსა და სპეც-
ტანსაცმლის აწოდებს როგორც სახელმწიფო უწყებებს,
ასევე ბიზნეს სერქტორის და მოდის ინდუსტრიის წარ-
მომადგენლებს. 2003 წლიდან მოდის სახლი „მატერია“,
ასევე წარმატებით სპეციალიზდება ნიმუშებისა დიზანის
შექმნასა და პროექტირებაში, ასევე ქსოვილის დამუშავებასა
და სორსინგში. „მატერია“ ფლობს საწარმოს, რომელიც სრულ
შესაბამისობაშია თანამედროვე ევროპულ სტანდარტებთან
და სრულად უზრუნველყოფს შრომისათვის უსაფრთხო გარე-
მოს. დღეის მდგომარეობით ასაქმებს 250 თანამშრომელს.
2017 წლიდან მოდის სახლი „მატერია“ ფლობს ISO 9001-2015
სერთიფიკატს დასტურად იმისა, რომ კომპანიის ხარისხის
მართვის სისტემა მუშაობს ISO სტანდარტის შესაბამისად.
ახლახანს „მატერიაში“ დააარსა არასამეწარმეო (არაკომერ-
ციული) იურიდიული პირი - საქართველოს პროფესიული ტან-
საცმლის ასოციაცია და ასევე გახდა პროფესიული ტანსაც-
მლის/უნიფორმების ინდუსტრიის საერთაშორისო ასოციაციის
წევრი.



დაფუძნების თარიღი: 2017

დასაქმებულთა რაოდენობა: 7

საერთაშორისო პარტნიორები/
წევრობა: www.farfetch.com
www.fairiesandclouds.com
www.tipser.com
www.ronherman.jp

პროდუქციის აღწერა: საბავშვო უნისექს ბრენდი,
ორგანული ხაზი, ეკო
მეგობრული ტანსაცმელი,
ხელით დამზადებული
ტანსაცმელი.

საკონტაქტო ინფორმაცია: www.eshvikids.co.uk



Eshvi Kids

ბავშვის ტანსაცმლის ბრენდი „ეშვი კიდსი“ აწარმოებს სამოსს რომელიც დაფუძნებულია ხუთ მთავარ კომპონენტზე: სადა ფერები, ბუნებრივი ქსოვილები, კომფორტული დიზაინი, უნისექსი და ტრენდული ხაზები. ჩვენ მოვახერხეთ მოდის შერწყმა ეკოლოგიურად სუფთა მასალებთან, რაც ჩვენთვის როგორც ეკობრენდისთვის მთავარი ნიშაა. ნაჭრები ორგანულია, აქსესუარები ეკო მეგობრული და მაღალი ხარისხის. ჩვენი მიზანია ვაწარმოოთ პროდუქტი, რომლითაც მცირედ წვლილს შევიტანთ გარემოს დაცვაში.



Ingorokva

ბრენდის მისწრაფება და კრეატიულობა მიმართულია პროდუქციის საბოლოო სახის შექმნისკენ. თავისი გამოცდილების გათვალისწინებით, ის მაღალი ხარისხის ეკოლოგიურად მდგრად ქსოვილებს იყენებს, მისთვის ხარისხი და მომხმარებლის მომსახურება ყველაზე პრიორიტეტულია.

ტანსაცმელის ტონალობა და ელფერი დახვეწილია. ფორმა და მოდელი ყოველთვის ელეგანტური და ახლებურია. საბოლოო შედეგში ყურადღება დეტალებსა და მაღალ ხარისხზეა გამახვილებული, რაც ელეგანტურ სიმარტივეშია გამოხატული.



დაფუძნების თარიღი: 2002

დასაქმებულთა რაოდენობა: 9

პროდუქციის აღწერა: პიჯაკი, ქურთუკი, თრენჩი-ლაბადა, პიჯაკი, ქვედაბოლო, კაბები, შარვლები, კომბინიზონი, კეიპი.

საკონტაქტო ინფორმაცია: www.ingorokva.com



დაფუძნების თარიღი: 2010

დასაქმებულთა რაოდენობა: 20

პროდუქციის აღწერა: ქალის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ჩანთები და აქსესუარები

საკონტაქტო ინფორმაცია: Facebook: კაბა • KABA



Kaba

„კაბა“ 23 წლიანი გამოცდილების მქონე ქართული ბრენდი ქალბატონებისთვის. ბრენდის ისტორია დამფუძნებელმა ხათუნა ჭინჭარაძემ ერთი ესკიზით და ერთი საკერავი მანქანით დაიწყო. დაულალავმა შრომამ და კმაყოფილი მომხმარებლების რაოდენობამ წარმატება განაპირობა. „კაბა“ დღეს ბაზარზე წარმოდგენილია ერთი მაღაზიით და საკუთარი საწარმოთი. პროდუქცია სრულად იწარმოება საქართველოში. კოლექციებს ქმნის დიზაინერთა ჯგუფი; ვისთვის იქმნება კაბა? თანამედროვე, თავდაჯერებული ქალებისთვის, გოგონებისთვის. მაღაზიაში წარმოდგენილია, როგორც კლასიკური, ასევე ყოველდღიური სტილის სამოსი. „კაბის“ მთავარი უპირატესობა ბაზარზე ხარისხი და ხელმისაწვდომობაა. ბრენდის ძირითადი ორიენტირი მსოფლიო მოდის ტენდენციების მუდმივი გაცნობა და მათი ქართველ მომხმარებელზე მორგებაა.



დაფუძნების თარიღი: 2017

დასაქმებულთა რაოდენობა: 120

პროდუქციის აღწერა: მულტი ბრენდ „კომბინიზონას“: ადაპტურიდა საორსულე სამოსი, დიზაინრული, სპორტული და გამოსასვლელი სამოსი.

ბრენდი „ალიკაპი“: სამედიცინო დამცავი ეკიპირება - ერთჯერადი და მრავალჯერადი ხალათები, კომბინიზონები, ქირურგიული პირბადეები მეღებლანის ფილტრით.

საკონტაქტო ინფორმაცია: www.kombinizona.ge
www.isfgeorgia.ge
www.alikapi.ge

ISF Georgia

„ინოვაციური სამკერვალო ფაბრიკა“ მოდის, ინოვაციების, განათლების, დასაქმების და ინკლუზიის მიმართულებით (შშმ პირთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ადაპტური სამოსის წარმოება) მოღვაწეობს.

გვწამს ჩვენი ღირებულებების და იდეოლოგიის. მუდმივად ვცდილობთ ლურჯი ოკეანების აღმოჩენას. მუდმივად ვანახლებთ კონცეფციებს კომფორტის და უნიკალური დიზაინის გათვალისწინებით.

როგორც სოციალურ საწარმო, ვზრუნავთ შშმ პირთა განათლებასა და დასაქმებაზე. გაყიდვების 30% სრულად ხმარდება სოციალურ პროექტებს.

2020 წელს გავხსენით მოდის და დიზაინის ანტრეპრენერთა სკოლა. საერთაშორისო სტანდარტით შექმნილი სასწავლო მოდული გააჩენს ახალ პროფესიონალ სამუშაო ძალას და სექტორში ხელს შეუწყობს თანამედროვე სტანდარტების დანერგვას.



LIYA

დაფუძნების თარიღი: 2017

დასაქმებულთა რაოდენობა: 20

საერთაშორისო პარტნიორები/წევრობა:

Beaureau des Createurs – PR and Wholesale Agency in MENA Region

Take Two London – PR Agency in Europe

Wave Showroom – Showroom and Wholesale agent in China

Joor – E-showroom

პროდუქციის აღწერა:

ქალის სამოსი და აქსესუარები

საკონტაქტო ინფორმაცია:

www.liya.ge

Liya

ჩვენ ვქმნით სამოსს, რომელიც იდეალურია როგორც განსაკუთრებული საღამოს, ისე საქმიანი შეხვედრებისთვის. ყოველდღიური იერსახის შესაქმნელად ხარისხიანი მასალებით და განსაკუთრებული ოსტატობით. ტანსაცმლის, აქსესუარებისა და სამკაულების მომზადება ხდება განსაკუთრებული ყურადღებით დეტალებზე და დიდი სიყვარულით. ჩვენი მისიაა თქვენი ხედვების ხორცშესხმა ჩვენი დიზაინის მეშვეობით. ვიმედოვნებთ, რომ თქვენი უნიკალური სტილის ნაწილი გახდებით და მარად დავრჩებით თქვენთან. მთავარი მამოძრავებელი ძალა არის ყველა ქალბატონისთვის სამოსის შექმნა.





Maroma Collection

დაფუძნების თარიღი: 2017

დასაქმებულთა რაოდენობა: 7

საერთაშორისო პარტნიორები/
წევრობა: Professional Clothing Industry
Association worldwide - ის
წევრი 2020 წლიდან.

პროდუქციის აღწერა: Maroma Collection ქალისა
და მამაკაცის (Unisex)
ლიმიტირებულ კოლექციებს,
მათ შორის:

- სამოსი
- ფეხსაცმელი
- აქსესუარები

საკონტაქტო ინფორმაცია: www.maromacollection.ge

ბრენდ „მარომა ქოლექშენის“ შექმნის ინსპირაცია იყო მეტი ფერადოვნების შემოტანა სამოსში. ამ დროისთვის მასიურად გვხვდებოდა მუქი ფერის სამოსი, რაც ძალიან მოსაწყენს ხდიდა არჩევანს.

ჩვენმა გუნდმა გადაწყვიტა შექმნილიყო ქართული ბრენდი, რომელიც გააფერადებდა ყოველდღიურობას, შეიტანდა კოლექციებში ქართულ შტრიხებს და დაიცავდა მაღალ ხარისხს. მომხმარებელთან ეფექტური კონტაქტის მიზნით შევქმენით ინოვაციური კონცეპტუალური შოურუმი - „ჩაცმა“, სადაც წარმოდგენილია ქართველი დიზაინერების ლიმიტირებული ნამუშევრები ჩვენს კოლექციებთან ერთად.



FLYING PAINTER

Flying Painter

დაფუძნების თარიღი:	2016
დასაქმებულთა რაოდენობა:	6
საერთაშორისო პარტნიორები/წევრობა:	Stemar - ტექსტილის მომწოდებელი, პრატო, იტალია
პროდუქციის აღწერა:	ქალის სამოსი, აქსესორები, ჩანთა და სამკაული
საკონტაქტო ინფორმაცია:	www.flyingpainter.com

„მფრინავი მხატვარი“ დაარსდა 2016 წელს, როგორც სამ ქართველ მხატვარს - ეკა ქეცბაიას, ნატუკა ვანაძესა და ბობო ხითარს შორის თანამშრომლობის პროექტი. ჩვენ ვვმნიით სამოსს, როგორც ხელოვნებას ადამიანებისთვის, რომლებიც გაბედული ჩაცმულობით გამოირჩევიან.

ბრენდის სახელი - „მფრინავი მხატვარი“ ქართველი ავანგარდისტი თეატრის მხატვრის პეტრე ოცხელის ცნობილი ნამუშევრის სახელწოდებიდან მომდინარეობს. ბრენდი ქმნის ტანსაცმელს, რომელიც მარადიულობის განცდას ქმნის. „მფრინავი მხატვარის“ ატელიეში დაბადებული ყველა დიზაინის ტენდენციებს მიღმა დგას დეტალების მიმართ ყურადღება, ტექსტურა და სილუეტი ერთგულია ბრენდის მაღალი ხარისხისა და მდგრადობის ძირითადი ღირებულებებისა. ძირითადად მამაკაცური ან ქალური ელემენტების გარეშე, ყველა ერთეული შექმნილია ინდივიდუალურობის ხაზგასასმელად.

კოლექციის მეშვეობით, ჩვენ მომხმარებლებს ვთავაზობთ საკუთარი თავის გამოხატვას, ნაცვლად იმისა, რომ თავად ტანსაცმლის ჩრდილქვეშ მოეცნენ.



MAKRATELLI

MADE IN GEORGIA

დაფუძნების თარიღი: 2014

დასაქმებულთა რაოდენობა: 23

პროდუქციის აღწერა: დიზაინის შექმნა, თარგის აგება, ტექნოლოგიური ესკიზების გაკეთება, მეკარვის ადგილზე გამოძახება, ტესტების დამზადება, ინდივიდუალური მომსახურება, კორპორატიული მომსახურება.

საკონტაქტო Facebook:
ინფორმაცია: Makratelli • მაკრატელი



Makratelli

„ატელიე მაკრატელის“ ისტორია 2014 წელს იწყება. დამფუძნებელს მაკა მაჭავარიანს გაუჩნდა იდეა დაეფუძნებინა ისეთი სამკერვალო, სადაც ხარისხიანი პროდუქტი შეიქმნებოდა, როგორც ინდივიდუალური, ისე კორპორატიული დამკვეთებისთვის. უნიკალური სერვისის მიწოდება, პასუხისმგებლობით სავსე გუნდის შეკრება და დასაქმების ხელშეწყობა - მიზანი, რამაც ექვს წელიწადში მოლოდინს გადააჭარბა.

„ატელიე მაკრატელი“ ორ ფართობი განთავსებული. ერთში ინდივიდუალური მომსახურების ჯგუფი მუშაობს, რომელიც ასევე ემსახურება სატელევიზიო პროექტებს, ხოლო მეორე - მასიური წარმოებით და ახალი პროექტებით არის დაკავებული. ერთ-ერთი პროექტია „რენდომი“ - ბრენდი რომელიც თანამედროვე, თავისუფალ, უნიკალურ ტანსაცმელს ქმნის. ამ კუთხით „მაკრატელმა“ თავისი დიზაინით პროდუქტის შექმნა, შეფუთვა და საცალო გაყიდვები წამოიწყო ორ საკუთარ ბრენდულ მაღაზიაში. „მაკრატელი“, მომხმარებლისგან უკუკავშირის გზით ახალ იდეებზე მუშაობს. შედეგად, პანდემიის პერიოდში ახალ სოციალურ პროექტს ჩაეყარა საფუძველი - პლატფორმა, რომელიც ადგილობრივ ხელოვანებს რეალური პროდუქტის შექმნის, წარმოჩენის, უნიკალურად შეფუთვის და გაყიდვის შესაძლებლობას სთავაზობს.



დაფუძნების თარიღი: 2016

დასაქმებულთა რაოდენობა: 76

საერთაშორისო სერტიფიკატი: BSCI

საერთაშორისო პარტნიორები/
წევრობა: DK Company

პროდუქციის აღწერა: ქალის სამოსი (მაისური,
ჯაკეტი, კაბა, კომბინიზონი,
ქვედა ბოლო, კარდიგანი,
შარვალი)

MPT

2016 წელს მიხეილ გეთიამ MID Pro Tex A / S-თან ერთად დააარსა „ემ ფი თი ჯორჯია“, რომელიც ასრულებდა შეკვეთებს MID Pro Tex A / S, DK კომპანიასთან პარტნიორობით (დანიი). კომპანია DK არის დანიის ტექსტილის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მოვაჭრე.

2019 წლის მდგომარეობით, მიხეილ გეთია კომპანიის ერთადერთი მფლობელია. „ემ ფი თი ჯორჯია“ განაგრძობს შეკვეთების შესრულებას უშუალოდ DK Company-სთვის.





RKO

დაფუძნების თარიღი: 2016

დასაქმებულთა რაოდენობა: 60

საერთაშორისო პარტნიორები/
წევრობა: Caramel London, Le Petit Souk,
Little Nordic Baby, Niddle Noddle,
Shinyeekids, AOUT, Stadkind.


Giulia Tibaldi & Giordano Garosio
(Photographers from Italy);
Cristina Pujol (Photographer from
Spain)

პროდუქციის აღწერა: ლამაზი და ფუნქციური,
ნატურალური და კომფორტული
ტანსაცმლისა და აქსესუარების
ბრენდი ბავშვებისთვის.

საკონტაქტო ინფორმაცია: Facebook: RKO • რკო

Rko

სამმა ახალგაზრდა დედამ დავა-
ფუძნეთ „რკო“, რომ შეგვექმნა ლა-
მაზი ტანსაცმელი ყველაზე მნიშ-
ვნელოვანი არსებებისთვის ჩვენს
ცხოვრებაში - ჩვენი შვილებისთვის.
ჩვენ ყველას გვსურს საუკეთესო
ჩვენი შვილებისთვის და სწორედ ამ
მიდგომას ვინარჩუნებთ და ვდებთ
სიყვარულს ჩვენს მიერ შექმნილი
ტანსაცმლის ყველა დეტალში. ჩვენ
ნოსტალგიას გვანიჭებს ის დრო,
როდესაც დედები და ბებიები
გვიკერავდნენ და გვიქსოვდნენ
ტანსაცმელს, როდესაც ვიყავით
ბავშვები. ამიტომ ვცდილობთ ეს
სითბო და სახლის გრძნობა ჩავაქ-
სოვით ყველა კოლექციაში. „რკოს“
სურს შექმნას ისეთი ტანსაცმელი,
რომელსაც თქვენ შეუნახავთ შვი-
ლიშვილებს.





დაფუძნების თარიღი: 2015

დასაქმებულთა რაოდენობა: 20

პროდუქციის აღწერა: ბრენდის იდეა არის მდგრადი მოდა და ტანსაცმლის გრძელვადიანი მოხმარება. ჩვენ მხოლოდ ნატურალურ ქსოვილებს და ტყავს ვიყენებთ, სამოსი იკერება გამოცდილი და პროფესიონალი მკერავების მიერ.

საკონტაქტო ინფორმაცია: www.situationistofficial.com

Situationist

ირაკლი რუსაძე თვითნასწავლი დაზაინერი და ბრენდი „სიტუაციონისტის“ დამაარსებელია. კრეატიული დირექტორი ორ განსხვავებულ სტილს ერთმანეთში ხშირად აერთიანებს – ქართულ ისტორიულ მემკვიდრეობასა და ავანგარდულ დიზაინს.

„სიტუაციონისტის“ კონცეფცია არის ის, რომ ტანსაცმელი უფრო ხასიათისთვის კეთდება ვიდრე სხეულისთვის.

ბრენდის უნიკალური დიზაინის ესთეტიკა მდგომარეობს იდეაში რომ, თითოეული ნივთი იჭრება და თავიდან ბოლომდე იკერება ერთი ადამიანის მიერ, დასრულების შემდეგ იგი ტოვებს ხელმოწერას სპეციალურ ეტიკეტზე რაც შექმნილ ნივთს ორიგინალობას ანიჭებს.

ბრენდის მთავარი იდეა ყოველთვის იყო მდგრადი მოდა, ტანსაცმლის დიდი ხნით გამოყენების შესაძლებლობა. ტანსაცმელი ამ რესურსით და შემოქმედებით „სიტუაციონისტი“-ყალიბდება ბრენდად, რომელიც იქნება ხიდი მოდასა და არტს შორის.



დაფუძნების თარიღი: 2015

დასაქმებულთა რაოდენობა: 10

საერთაშორისო პარტნიორები/

წევრობა:

UN Global Compact.
Partners: Beechwood Trading - UK;
Not So Big Store - France; Klamotte
Neustadt - Germany; Bread and
Butter Srl - Italy; Trendsacegr -
Greece; Les Chouchous - Belgium;
Mini Rikikki - Lebanon; Bubble -
Luxembourg.

პროდუქციის აღწერა: საბავშვო ტანსაცმელი და
აქსესუარები

საკონტაქტო ინფორმაცია: www.spilow.ge
www.spilow.com

Spilow

„სპილოუ“ 2016 წელს, სამი დედის მიერ მათი 6 ცელქი შვილის შთაგონებით დაარსდა. საქართველოში წარმოებული პროდუქცია იქმნება 1-დან 13 წლამდე გოგოებისა და ბიჭებისათვის.

თითოეულ სპილოუს პროდუქტს საკუთარი კონცეფცია და ისტორია აქვს. ჩვენი ტანსაცმელი ხელს უწყობს როლურ თამაშებს, რათა ბავშვებმა გამოიყენონ მათი შემოქმედობითობა, განუვითარდეთ წარმოსახვის უნარი და მოხერხებულობა.

სპილოუ ქმნის ტანსაცმელს, თავისუფალი და დამოუკიდებელი ადამიანებისათვის, რომელთაც უყვართ თავგადასავლები. ბავშვების ცნობისმოყვარეობაა, რაც ჩვენ შთაგვაგონებს შევქმნათ ტანსაცმელი, რომელიც ერთნაირად მოსწონთ ბავშვებს და უფროსებს. სპილოუს კაბები და ჟაკეტები, ჯემპრები და მაისურები არ არის მხოლოდ ტანსაცმელი, ის ბავშვების თავგადასავლების ნაწილია.



დაფუძნების თარიღი: 2017

დასაქმებულთა რაოდენობა: 12

პროდუქციის აღწერა: ყოველდღიური, სპორტული, აქსესუარები, უნიფორმა, ქალები, კაცები.

საკონტაქტო ინფორმაცია: www.zoma.store

Zoma

ტანსაცმლის გლობალური მომხმარებლების 64% საკუთარი შეხედულებების მიხედვით არჩევენ სამოსს და ყიდულობს ბრენდს ამ უკანასკნელის სოციალური პოზიციის მიხედვით. გვესმის, რომ დიდი ბრენდების მთავარი ღირებულება სწორედ ის არის, რომ მათ შეძლეს და გახდნენ მათი მომხმარებლების მაიდენტიფიცირებლები. სწორედ ამის გამო მივაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება „ზომის“ შექმნისას ბრენდის პოზიციონირებას და გავხადეთ ის ახალგაზრდა, მოძრავი და ძლიერი სოციალური მესიჯების მატარებელი, რომელიც დღეს მილენიალებს აქვთ.





nikolli

Made In Georgia

დაფუძნების თარიღი: 2017
დასაქმებულთა რაოდენობა: 18
პროდუქციის აღწერა: 1 - 10 წლამდე ბავშვის
ტანისამოსი, როგორც
ბიჭებისთვის ასევე
გოგონებისთვის. ასევე
ხელნაკეთი აქსესუარების
წარმოება

საკონტაქტო ინფორმაცია: www.nikolli.ge



Nikolli

კომპანია „ნიკოლი“ დაფუძნდა 2017 წელს. 3 წლის განმავლობაში ბრენდმა შეძლო დაემკვიდრებინა თავი ბაზარზე და მოეზიდა ლოიალური მომხმარებლები. ამ დროისთვის „ნიკოლი“ წარმოდგენილია 3 ფილიალით საქართველოს მატაბით, 2 თბილისში ხოლო 1 ბათუმში.

ბრენდის მიზანია აწარმოოს პროდუქცია, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება არა მხოლოდ ქართული წარმოების, არამედ უცხოურ ბრენდებთან შედარებით. ხარისხი, ხელმისაწვდომი ფასი და მომსახურების მაღალი სტანდარტი, ბრენდს აძლევს საფუძველს ჰქონდეს ამბიცია უახლოეს მომავალში ბაზრის კიდევ უფრო დიდი წილი აითვისოს.

ბუნებრივია, ბრენდის მიზანი არ არის მხოლოდ ქართულ ბაზარზე ოპერირება და კომპანია აქტიურად მუშაობს ექსპორტის მიმართულებითაც. უკვე განახორციელდა პირველი ექსპორტი საუდის არაბეთში. მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთანაც.



Boldi

დაფუძნების თარიღი: 2012
 დასაქმებულთა რაოდენობა: 20
 პროდუქციის აღწერა: ქალის ტანსაცმელი, ქალის და კაცის ქუდები
 საკონტაქტო ინფორმაცია: www.boldi.ge
www.newtorso.com

„ბოლდი“ 2012 წლიდან აწარმოებს ბრენდირებულ უნიფორმებს და სპეც-ტანსაცმელს ქართული კომპანიებისთვის. ასევე, თანამშრომლობს ქართულ ბრენდებთან სამკერვალო დაკვეთის შესრულების მიმართულებით - დაწყებული თარგის შექმნიდან, ზომებში გადაყვანით და წარმოებით დამთავრებული. კომპანიას აქვს 20 წლიანი გამოცდილება ქალის და მამაკაცის ქუდების წარმოებაში და არის საქართველოში უკონკურენტო ამ სფეროში (არის ოჯახური ბიზნესი).

2020 წელს კომპანიამ შექმნა ახალი ბრენდი NEWTORSO, რომელიც აწარმოებს ქალის ტანსაცმელს. ამ ეტაპზე, არის მხოლოდ ონლაინ მაღაზია www.newtorso.com, საიდანაც გამოწერა ხდება, როგორც საქართველოდან, ისე მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან. NEWTORSO თანამშრომლობს ქართულ ბრენდებთან და დიზაინერებთან, რომლებიც აწარმოებენ ტანსაცმლის შემავსებელ პროდუქციას და მათი ნივთებიც იყიდება NEWTORSO-ს ონლაინ მაღაზიაში.



დაფუძნების თარიღი: 2002

დასაქმებულთა რაოდენობა: 90

პროდუქციის აღწერა: უნიფორმა / სამუშაო
ტანსაცმელი, წყალგაუმტარი
ტანსაცმელი, კეპები,
მოსასხამები, ზამთრის
ტანსაცმელი და ნაქსოვი
ტანსაცმელი
მამაკაცის ქალის და ბავშვის

საკონტაქტო ინფორმაცია: www.eelselema.ge



Eelselema

შპს „ელსელემა“, დაარსდა 2002 წელს.
მუშაობის ძირითადი მიმართულებებია:

- სამკერვალო წარმოება
- ტრიკოტაჟის წარმოება
- საქარგავი წარმოება
- ტრაფარეტული ბეჭდვა ქსოვილზე

შპს „ელსელემა“ მუშაობს როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ბაზარზე.

Eelselema-ს აქვს მუშაობის გამოცდილება საერთაშორისო ბრენდებთან, როგორიცაა: M “Damat/Tween” და MONCLER.

შპს „ელსელემა“ წარმატებით აგრძელებს თანამშრომლობას შვეიცარულ ბრენდთან - „CHAMELEON“.





Anabechdi

დაფუძნების თარიღი: 2013

დასაქმებულთა რაოდენობა: 70

საერთაშორისო პარტნიორები/
წევრობა: ამჟამად ვართ ახალი
საერთაშორისო პარტნიორის
მოლოდინში (შეგვიკავრავს
ცნობილი ბრენდები: LUIGI
MORINI, ICEBERG, IL GUFO, PAOLO
PECORA.

პროდუქციის აღწერა: უნიფორმები, სპეცტანსაცმელი,
დროშები, შარფები
ქსოვილზე დაპრინტვა,
სუბლიმაციურად ბეჭდვა, ქარგვა.

საკონტაქტო
ინფორმაცია: www.uniformebi.ge

სამკერვალო ფაბრიკა „ანაბეჭდი“ დაარსდა 2013 წელს. დაარსების დღიდან მოყოლებული, კომპანია ორიენტირებულია ინოვაციურ განვითარებასა და მაღალ ხარისხზე. გარდა კერვისა, კომპანიაში მოქმედებს როგორც ქსოვილზე ბეჭდვა, ასევე ქარგვა უახლესი და მაღალხარისხიანი დანადგარებითა და ეკოლოგიურად სუფთა მასალით. კომპანიის იმიჯზე მის მიერ წარმოებული პროდუქციის უნიკალურობა და ხარისხი, პარტნიორების სიმრავლე და კმაყოფილება მეტყველებს, რასაც მაღალკვალიფიციური და მრავალწლიანი გამოცდილების მქონე კადრების სიმრავლე განაპირობებს. კომპანიის მუშაობის პრინციპი დამყარებულია გუნდური მუშაობის მეთოდზე. სწორედ ეს ფაქტები იძლევა საშუალებას კომპანიის დევიზის მტკიცედ შენარჩუნებისა და ამიტომაც, მას თავისუფლად და ამაყად შეუძლია განაცხადოს ის, რასაც პირველივე დღიდან ჩაუყარა საფუძველი: „ჩვენ ვქმნით საუკეთესოს.“



ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business

ევროკავშირი და EU4BUSINESS-ის ინიციატივა

ევროკავშირის წევრმა-სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს ერთმანეთთან დაეკავშირებინათ საკუთარი ცოდნა, რესურსები და მომავალი. მათ ერთად ააშენეს სტაბილურობის, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების ზონა და, ამავედროულად, შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტულობა და ინდივიდუალური თავისუფლებები. ევროკავშირი იღებს ვალდებულებას თავის საზღვრებს მიღმა სხვა სახელმწიფოებსა და ადამიანებს გაუზიაროს საკუთარი მიღწევები და ღირებულებები. EU4Business-ი (ევროკავშირი ბიზნესისთვის) ე.წ. „ქოლგა“ ინიციატივაა, რომელიც სრულად აერთიანებს ევროკავშირის მხრიდან მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის ქვეყნებში - სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა. EU4Business-ი მხარს უჭერს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების, უკეთესი რეგულირების ხელშეწყობის, ბიზნესის მხარდამჭერი სერვისების გაუმჯობესებისა და სავაჭრო შესაძლებლობების გამოყენების საშუალებით. EU4Business-ის მეშვეობით ხდება სამუშაო ადგილების შექმნა და შენარჩუნება, მეტად იზრდება მცირე და საშუალო ბიზნესი და მისი წილი ექსპორტში. 2019 წელს EU4Business-მა მხარი დაუჭირა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას 116 პროექტის საშუალებით, რომელთა მთლიანმა ბიუჯეტმა 787,33 მილიონი ევრო შეადგინა.

ვრცლად: eu4business.eu



giz
Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

GIZ-ი (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება)

GIZ-ი (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) არის გლობალური მომსახურების მიმწოდებელი საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში მდგრადი განვითარებისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო მიმართულებებით, რომელიც დაახლოებით 23 000 თანამშრომელს აერთიანებს. GIZ-ს 50 წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს სხვადასხვა სფეროში, მათ შორისაა ეკონომიკური განვითარება და დასაქმება, ენერგეტიკა და გარემოს დაცვა, მშვიდობა და უსაფრთხოება. როგორც საზოგადოებრივი სარგებლის ფედერალური კომპანია, GIZ-ი მხარს უჭერს გერმანიის მთავრობას, კერძოდ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალურ სამინისტროს (BMZ) და მსოფლიოს 120 ქვეყანაში მრავალ საჭარო თუ კერძო დამკვეთს საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით მიზნების მიღწევაში ეხმარება. ამისათვის, GIZ-ი პარტნიორებთან ერთად მუშაობს ეფექტური გადაწყვეტილებების შემუშავებისთვის, რაც ხალხს უკეთეს პერსპექტივას შესთავაზებს და მათი ცხოვრების პირობების მდგრად გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

ვრცლად: giz.de



აზარმოუ საქართველოში

„აზარმოუ საქართველოში“ არის მთავრობის ეკონომიკური განვითარების სააგენტო, რომელიც მუშაობს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში. მისი საბოლოო მისიაა ხელი შეუწყოს საქართველოს ეკონომიკის გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების მიღწევას სამი ძირითადი საყრდენიდან. კერძოდ: აზარმოუ საქართველოში - ბიზნესი; აზარმოუ საქართველოში - ინვესტიცია და აზარმოუ საქართველოში - ექსპორტი. სააგენტო აქცენტს აკეთებს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდასა და საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობაზე / მხარდაჭერაზე. „აზარმოუ საქართველოში - ბიზნესის“ მიმართულების მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმის მხარდაჭერა, ახალი საწარმოების/სასტუმროების შექმნისა და არსებული საწარმოს/სასტუმროს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა.

„აზარმოუ საქართველოში - ექსპორტის“ მიმართულების მიზანია საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაცია, ქართული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდა საერთაშორისო ბაზრებზე, ქართული პროდუქტების ექსპორტის მოცულობის ზრდა და საქართველოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია.

„აზარმოუ საქართველოში - ინვესტიციის“ მიმართულების მიზანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ხელშეწყობა და განვითარება. აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს ერთგვარ მედიატორს უცხოელ ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის, მუშაობს „ერთი ფანჯრის პრინციპით“ და ეხმარება დაინტერესებულ ინვესტორებს სხვადასხვა ინფორმაციის მიღებასა და ქართულ მხარესთან ეფექტური კომუნიკაციის წარმოებაში.



© 2021 საქართველოს ტანსაცმლისა და მოდის ასოციაცია.

ყველა უფლება დაცულია.